<u>დანართი №3</u>

ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო და დანამატი

1. ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას სრული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის – არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ პროფესორისათვის – არანაკლებ 8 საათი და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) სრული პროფესორი - თვეში 1000 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 800 ლარი;
გ) ასისტენტ პროფესორი - თვეში 600 ლარი.

2. წინამდებარე დანართის პირველი პუნქტით განსაზღვრულ თანამდებობრივ სარგოზე დანამატი განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:
ა) სრული პროფესორი - თვეში 900 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 680 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 260 ლარი.

3. ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის დანამატი, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (სრული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 16-საათიან - 8 საათი სააუდიტორიო, 8-საათი საკონსულტაციო ყოველკვირეულ დატვირთვას; ასოცირებული პროფესორისათვის – არანაკლებ სავალდებულო 22-საათიან - 10 საათი სააუდიტორიო, 12 საათი საკონსულტაციო ყოველკვირეულ დატვირთვას; ასისტენტ პროფესორისათვის – არანაკლებ სავალდებულო 24-საათიან - 12 საათი სააუდიტორიო, 12 საათი საკონსულტაციო ყოველკვირეულ დატვირთვას), შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო – კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებადართულია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა) და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) სრული პროფესორი - თვეში 2400 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1780 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 960 ლარი.